ხელშეკრულება №056
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. მცხეთა 7 მარტი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში- შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ შპს გიო კომპან, ს/ნ:400115219 (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ლავრელაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და ლიკა ზაალიშვილის სამსახურებრივი MES 9 19 00170804 საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ილია წინამძღვრიშილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის 2019 წლის საკუთარი სახსრებით, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 კლასიფიკატორის კოდი - 44500000

	CPV კოდი	საქონელი	ზომის ერთეული	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
	44511310	თოხი	ცალი	5	6	30
	44512000	ხის ტარი	ცალი	6	3	12
	44511320	წერაქვი	ცალი	1	12	12
	44512000	საკიდი 2-იანი	ცალი	2	3	6
	44512000	ცელის სალესი ქვა	ცალი	2	3	6
	44512000	სამღებვრო ფუნჯი	ცალი	15	2.5	37.5
					სულ	109.5

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 109.5 (ასცხრა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს;

2.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების საგნის შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში

3.2 ხელშეკრულების საგნის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით;

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში;

4.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

5. მხარეთა მოვალეობანი

5.1 **შემსყიდველი ვალდებულია:**

- ✓ წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ;
- ✓ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

5.2 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

- ✓ გადასცეს შემსყიდველს შეთანხმებული ხელშეკრულების საგანი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, დათქმულ დროსა და ადგილზე;
- ✓ უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა ამისათვის საჭირო გონივრულ ვადაში;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;

6.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული გარემოებისა) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

7.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შესაძლებელია შეწყდეს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ ვალდებულების დარღვევის გამო გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას, მითითებულ გონივრულ ვადაში, ვალდებულების შესრულების შესახებ არ მოყვება რეაგირება დამრღვევი მხარისაგან, აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამურის ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, კარანტინი, მორატორიუმი, ემბარგო, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

12. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“

მის: მცხეთის რეგიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
ელ- ფოსტა: tmkcommunitycollege@gmail.com
ტელ: (995 32) 210 30 29

დირექტორი
თეიმურაზ ასათიანი

შპს გიო კომპანი

მის: ქ.თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხოშარაულოის ქუჩა
საიდენტიფიკაციო კოდი: 400115219
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ : MIBGGE22
ანგ/: № GE84PC0223600100012356

დირექტორი
გიორგი ლავრელაშვილი

LEPL ILIA TSINAMDZGVRISHVILI COMMUNITY COLLEGE

Digitally signed by LEPL ILIA TSINAMDZGVRISHVILI COMMUNITY COLLEGE
Date: 2019.03.07 17:31:07 +04'00'